ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ №22

თბილისი „11“ აპრილი 2022 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ გრიგოლ კობახიძის სახელობის ქალაქ თბილისის №77 საჯარო სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნანა ხიდეშელის სახით, და მეორე მხრივ, შპს “მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია” შემდგომში „მიმწოდებელი“, მისი ფინანსური მენეჯერის მერი პაპაშვილის სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“) ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის ფარდების (CPV კოდი 39500000-381.60 ლარი) შესყიდვაზე სულ 381.60 ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

დანართი1

№	საქონლის დასახელება	ზომისერთეული	რაოდ.	ერთ.ფასი	საქონლისფასი	
1	ფარდა რგოლებით	ცალი	24	15.90	381.60	39500000
	ჯამი				381.60	

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2022 წლის „22„ აპრილის ჩათვლით.

4.2. ადგილი:

4.2.1. ქალაქი თბილისი, ირბახის ქუჩა №16

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2. მიწოდებულ საქონელზე ანაზღაურება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედდებულია ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე;(საჭიროებისამებრ)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. „მიმწოდებელი“ არაუგვიანეს 6 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და 5.2. პუნქტში მიწოდებულ დოკუმენტებს (საჭიროებისამებრ)

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.1.2. გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 საბანკო დღისა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა

უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,01%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი დავით ალთუნაშვილი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის ,,30,, ივნისის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
16.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“ **„მიმწოდებელი“**

სსიპ გრიგოლ კობახიძის სახელობის ქალაქ თბილისის №77 საჯარო სკოლა“
თბილისი. ირბახის ქ. 16

შპს “მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია”
თბილისი, თვალჭრელიძის ქ. 2

ს/ს „ლიბერთი ბანკი“
ბ/კ: LBRTGE22
ა/ა: GE23LB0121134405747000
ს/კ: 206031612

ს/ს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000850935800
ს/კ: 404923749

დირექტორი მ.შ.
ნანა ხიდეშელი

ფინანსური მენეჯერი
მერი პაპაშვილი

Majid Al Futtaim Hypermarkets Georgia LLC
Digitally signed by Majid Al Futtaim Hypermarkets Georgia LLC
Date: 2022.04.11 14:11:00 +04'00'